**რუსთავის საქალაქო სასამართლო**

საქართველო, ქ.რუსთავი, პოსტანიძალაძის ქ. № 6; ტელ: კანცელარიის მისაღები: 0341 24 08 07;

№ 675/ბ 01 მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქN20;

ქალბატონ მირანდა თეთრაძეს

ქალბატონო მირანდა,

2023 წლის 21 აპრილს რუსთავის საქალაქო სასამართლოში შემოსული თქვენი (რეგისტრაციის N7468) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის: ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ასევე გაცნობებთ, რომ სასამართლოს კანცელარიაში სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმეების მონაცემების დამუშავება ხდება დადგენილ სტატისტიკურ ფორმებში, დავის საგნის მიხედვით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები აღირიცხება მუხლების მიხედვით. აღნიშნულ სტატისტიკურ ფორმებში ცალკე არ აღირიცხება თქვენს მოთხოვნაში მითითებული საფუძვლით ინფორმაცია, კერძოდ: „ვის უჩივიან - ფიზიკური საჯარო პირი ა(ა)იპ, სსიპ, სამინისტრო და სხვა საჯარო დაწესებულებები, - სახელმწიფოსთვის დაკისრებული გადასახადის რაოდენობა მოსარჩელესადმი".

შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არარსებობის პირობებში, თქვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მოძიება საჭიროებს დიდი ოდენობით საქმეების და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას და სისტემატიზაციას, რაც მოითხოვს განუსაზღვრელად დიდი დროს და ჩვენს ხელთარსებულ ნებისმიერ რესურსს.

ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ თანამდებობის პირთან.

პატივისცემით,
მაია იასეშვილი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი